ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

ქ.ამბროლაური *2025 წლის 01 აგვისტო*

ოქმი N 3

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ბესიკ ბაქრაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში,

2.გოჩა კობერიძე -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კრიხში,

ირინა კერესელიძე -
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგ ენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირაგეულში,

4. მარიამ ჩალაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ლიხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი , მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავში,

5.თამარ ფრუიძე - შპს.,,ბარაკონი" -ს წარმომადგენელი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ირმა ფრუიძე,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ბეჟან კობახიძე,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -ეკატერინე ლაშხი.

დღის წესრიგი:

1. რაჭული ჯიშების აღდგენა /განვითარების ხელშეწყობის პროგრამის გაცნობა/მიმოხილვა .
2. მერიაში მუნიციპალური სერვისების (სოციალური სერვისების) მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის პროცესის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა და 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულებული ანგარიშის მოსმენა.
4. 2025 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა "-ის ფარგლებში პროექტების დაწყების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობა.

6. სხვადასხვა.

სხდომას უძღვებოდა მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, რომელმაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო საბჭოს წევრებს.

მერის მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა 4 წლიანი თანამშრომლობისთვის და იმედოვნა , რომ როდესაც საბჭოს ახალი წევრები კონკურსის შედეგად აირჩევა ,ძველი წევრებიდან რამოდენიმე მაინც დარჩება უცვლელი .

პირველ საკითხზე ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ საბჭოს წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის და ძველი რაჭული ჯიშების აღდგენა/განვითარების ხელშეწყობის შესახებ და განმარტა: პროგრამის მიზანია - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაშენების პირას მყოფი უნიკალური ვაზის ჯიშების აღდგენა- პოპულარიზაციის ხელშეწყობა. საოჯახო მეურნეობების ფინანსური ხელშეწყობა სისტემურ - კონტაქტური შესაწამლი პრეპარატების, სასუქისა და ახალი ნერგების შეძენის მიზნით.

პროგრამით სარგებლობა შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მევენახეობა- მეღვინეობის მიკრო ზონაში მოქმედ ყველა საოჯახო მეურნეობას, რომელთა ვენახების ჯამური ფართობი არ აღემატება 1 ჰა-ს და ფლობს ვაზის სამიზნე ჯიშებს, გარდა „ალექსანდროულის" და „მუჯურეთულის" ჯიშის ვაზისა. საოჯახო მეურნეობის საკუთრებაში არსებული ვენახი დარეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოს" ერთიან ელექტრონულ ბაზაში, პროგრამით მოსარგებლის სახელზე, 2025 წლის 01 აპრილამდე და პროგრამის მონაწილეზე შედგენილი უნდა იყოს ვენახის კადასტრი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ვენახის შესაწამლად განსაზღვრული სისტემურ-კონტაქტური პრეპარატების, სასუქის და ნერგების შეძენა.

პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების საერთო წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება არაუმეტეს ერთ ჰექტარზე გაშენებული ვენახის :

ა) შეწამლისთვის განსაზღვრული პრეპერატები;

ბ) სასუქის შეძენა;

გ) ახალი ნერგების შეძენა.

პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი შეადგენს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარს და განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის ამოწურვამდე. პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი ფულადი თანხის ოდენობა თითოეული განმცხადებლისთვის განისაზღვრება კადასტრში არსებული ვაზის ძირების რაოდენობით, 1 (ერთი) ერთეულზე - 50 (ორმოცდაათი) თეთრის ოდენობით, არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა. პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია ერთჯერადად და ერთ მოსარგებლეზე გასაცემი მქსიმალური თანხის ლიმიტი არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარია.

პროგრამით გათვალისწინებული თანხის მიღების მიზნით განაცხადების მიღება დაიწყო 2025 წლის 20 აპრილიდან და სრულდება 2025 წლის 30 აგვისტოს.

დახმარების მისაღებად პროგრამაში მონაწილე ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე, რომელშიც მიეთითება კონკრეტულად რა დანიშნულებით აპირებს გამოყენებას ფულადი დახმარების.

ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

გ) ვენახების კადასტრის ამონაწერი.

დ) ინვოისი ან ანგარიშ-ფაქტურა.

ე) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"-ს ამონაწერი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

განცახდებას განიხილავს და პროგრამის ადმინისტრირება ევალება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, რომელიც ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტარციული სამართლებრივი აქტის პროექტს, სადაც აღინიშნება თითოეულ მოსარგებლეზე გასაცემი თანხის ოდენობა, ვენახის ფართობის შესაბამისად. თანხის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამის ინვოისში ან ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

ამ დროისთვის შემოსულია 444 განცხადება 4 მოთხოვნა არ დაკმყოფილდა, ხოლო 440 მევენახეს დაუფინანსდა ვაზის შეწამლისათვის საჭირო პრეპარატების/სასუქის შესაძენი თანხა სულ ჯამში 108 800 ლარამდე. აღნიშნა ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხზე** ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალური სერვისების (სოციალური სერვისების) მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის პროცესის თაობაზე,

ეს სერვისი მერიას დაეხმარება მუდმივად ფლობდეს ინფორმაციას მის სერვისებთან/ პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემებისა და მომხმარებელთა ცვალებადი საჭიროებების შესახებ. მომხმარებელთა უკუკავშირის შეგროვება, ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება მერიას შესაძლებლობას მისცემს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები და მომხმარებლებს მიაწოკარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სარგებლიანობაზე მეტყველებს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების/ქვეპროგრამების მომხმარებელთა უკუკავშირის შეგროვება მერიას შესაძლებლობას მისცემს:

- შეინარჩუნოს მისი სერვისების ხარისხი და მუდმივად იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე
- უკეთესი გამოცდილება შეუქმნას მომხმარებლებს
- ყოველწლიურად, პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავების პროცესში მიიღოს მტკიცებულებებზე/მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები
- გაზარდოს მერიისადმი მომხმარებელთა ნდობა.

სერვისის ხარისხის შენარჩუნება და მუდმივი გაუმჯობესება

კარგი საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სერვისის ხარისხის შენარჩუნებისა და მუდმივი გაუმჯობესებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლებისგან უკუკავშირის უწყვეტად შეგროვებას, ამ მონაცემების პერიოდულ გაანალიზებასა და სერვისთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებების ინიცირებას. ორგანიზაცია, რომელიც სტრუქტურირებული სახით არ აგროვებს მომხმარებელთა უკუკავშირს, კარგავს შესაძლებლობას ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას მომხმარებელთა ცვალებადი საჭიროებების, სერვისთან დაკავშირებული ხარვეზების/პრობლემების შესახებ. შესაბამისად, ასეთი ორგანიზაცია მომხმარებლებს ვერ მიაწვდის სერვისს, რომელიც მუდმივად პასუხობს მომხმარებელთა საჭიროებებსა და მოლოდინებს. მომხმარებელთა უკუკავშირის შეგროვება მერიას შესაძლებლობას მისცემს გამოკვეთოს გაუმჯობესების არეალები.

მომხმარებელთა უკეთესი გამოცდილების უზრუნველყოფა

მომხმარებელთა წუხილებისა და კომპლიმენტების ცოდნა მერიას დაეხმარება მუდმივად იზრუნოს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებები მომართულნი იყვნენ შეაგროვონ მომხმარებელთა როგორც დადებითი, ისე ნეგატიური უკუკავშირი. ხშირად სწორედ ნეგატიური უკუკავშირი ხდება ცვლილებების საწინდარი. (მაგ: უკუკავშირის შესავსებ ფორმაში მოცემული შეკითხვა - *„სოციალური სერვისით სარგებლობის პროცესში რაიმე სირთულეს წააწყდით? გთხოვთ, განგვიმარტოთ კონკრეტულად რა სახის პრობლემა შეგექმნათ“,* მომხმარებელს უბიძგებს გამოხატოს ნეგატიური უკუკავშირი. ასეთი უკუკავშირი მერიისთვის მნიშვნელოვანი იქნება მომხმარებლებისთვის უკეთესი გამოცდილების შესაქმნელად).

არანაკლებ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა „კომპლიმენტების“ შეგროვება სერვისთან დაკავშირებული იმ კომპონენტების დასაიდენტიფიცირებლად, რაც კარგად მუშაობს და შესაძლოა გაუმჯობესებას არ საჭიროებდეს.

სერვისების/ პროგრამების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

შეთავაზება

მომხმარებელთათვის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის, ასევე უკუკავშირის სტანდარტიზებული ფორმების შეთავაზება მათი უკუკავშირის მარტივად წარსადგენად

შეგროვება

უკუკავშირის მართვაზე პასუხისმგებელი პირის/ გუნდის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან მუნიციპალიტეტში შესული უკუკავშირის თავმოყრა

ანალიზი

უკუკავშირის მართვაზე პასუხისმგებელი პირის/ გუნდის მიერ უკუკავშირის გაანალიზება, ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება და უკუკავშირის ანალიზის ამსახველი ანგარიშის შემუშავება

განხილვა

სამუშაო შეხვედრ(ებ)ის ჩატარება, უკუკავშირის ანალიზის შედეგებზე მსჯელობა და შესაძლო გადაწყვეტების იდენტიფიცირება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში მომხმარებელთა უკუკავშირის ანალიზის შედეგებისა და გადაწყვეტების (სერვისში განხორციელებული ან დაგეგმილი ცვლილებების) ამსახველი ანგარიშების განთავსება, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით.

აღსანიშნია , რომ მსგავსი სერვისი მხოლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დაინერგა . საქართველოს თვითმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში შეირჩა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი უკუკავშირის მექანიზმის დანერგვის კუთხით. პროექტის ფარგლებში შემუშვებული იქნა სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელო.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა და 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულებული ანგარიში წარუდგინა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს საფინანსო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვნელმა ბეჟან კობახიძემ , ასევე ისაუბრა მერიაში განხორციებელი სხვადასხვა სახის ცვლილების შესახებ, როგორიცაა ხელფასების 10 % იანი ზრდა , განსაკუთრებით აღსანიშნია საბავშვო ბაღებში ხელფასის მატება , რაც განპირობებულია ფინანსურ ტრანსფერზე ,რომელიც ან იზრდება , ან მცირდება , ბეჟან კობახიძემ აღნიშნა , რომ მუნიციპალიტეტს 6 პრიორიტეტი გააჩნია ,რაშიც იხარჯება ფული ,ეს არის მუნიციპალიტეტის მართველობითი რგოლის დაფინანსება , ინფრასტრუქტურა , გარემოს დაცვა , განათლება ,კულტურა სპორტი ახალგაზრდობა და მეექვსე სოციალური და ჯანდაცვა , ამ 6 პრიორიტეტიდან ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იხარჯება .

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 31 615 350 ლარს.
აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.
პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება - წლიური გეგმა შეადგენდა 16 806 274 ლარს, ხარჯი16 371 671 ლარი - შესრულება 97 %.
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - წლიური გეგმა შეადგენდა 1 398 390 ლარს, ხარჯი 1 397 625 ლარი - შესრულება 100 %.
- ❖ განათლება - წლიური გეგმა 2 341 244 ლარი, ხარჯი კი 2 326 877 ლარი- შესრულება 99 %.
- ❖ სპორტის სფეროს განვითარება - წლიური გეგმა 1665 541 ლარი, ხარჯი 1627 163 ლარი - შესრულება 98 %.
- ❖ კულტურის სფეროს განვითარება - წლიური გეგმა წარმოადგენდა 2 442 421 ლარს, ხარჯი კი 2 409 876 ლარს -შესრულება 99 %.
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა - წლიური გეგმა 493 809 ლარი, ხარჯი 434 607 ლარი-შესრულება 88 %.
- ❖ სოციალური დაცვა - წლიური გეგმა 749 310 ლარი, ხარჯი 678 042 ლარი- შესრულებულია 90 %-ით.

ყველა პროექტი და პროგრამა, რომელიც 2024 წლისთვის იყო დაგეგმილი შეფერხებების გარეშე განხორციელდა
მუნიციპალიტეტის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა 18 003 670

ლარით. გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:
1. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სულ გაფორმებულია 123 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო თანხით 16 105 306 ლარი;
2. გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით სულ გაფორმებულია 197 ხელშეკრულება საერთო თანხით 1 395 566 ლარი, მათ შორის 68 ხელშეკრულება გაფორმდა სოფლის მხარდაჭრის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სულ გაფორმებულია 23 ხელშეკრულება საერთო თანხით 502 827 ლარი;

ოქმს თან ერთვის დანართის სახით 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა .

დღის წესრიგით გათვალისწინებული **მეოთხე და მეხუთე საკითხზე** 2025 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში პროექტების დაწყების თაობაზე და 2025 წელს დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახდებ ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა საბჭობს წევრებს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა ეკატერინე ლაშხმა.

ინფორმაცია 2025 წელს განხორცილებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, ასევე არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის მიერ მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

რეგიონული პროექტების განვითარების ფონდის მეშვეობით და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით 21 პროექტი განხორციელდა, ღირებულებით 6009546.00 ლარი. (იხილეთ დანართი N1)

1.სოფელ ბოსტანაში საელიოს სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

3. ქ. ამბროლაურში ,,ქვანას წყარო"-ს მიმდებარედ რკ/ბეტონის კედლების მოწყობისა და გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

4. სოფლების: საკეცია-ჯვარისა-ქედისუბანი-ხონჭიორის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაციის, სოფ. გორში და სოფ. ძირაგეულში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები

5. სოფ. დიდ ჩორჯოში სასოფლო გზის რეაბილიტაცია

6. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის (სანაპირო) და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დამაკავშირებელი კიბეების მოწყობის სამუშაოები

7. სოფელ აბარის ადგილობრივი დანიშნულების გზის რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოები

8. ქ. ამბროლაურში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სოფელ იწაში და სოფელ კრიხში მაღაზიასთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები

9. ქალაქ ამბროლაურის აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია

10. სოფელ ნიკორწმინდაში ჯმუხაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსტანაში საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

12.სოფელ ძირაგეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია

13.სოფელ ზნაკვაში სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოები

14. ქალაქ ამბროლაურში სოლომონ პირველის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის შემოღობვის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები

15.ქ. ამბროლაურში მდ. კრიხულას მიმდებარედ არსებული მრავალფუნქციური ცენტრის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები.

16. სოფელ ნიკორწმინდაში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

17.სოფელ წესში საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

18.სოფელ სადმელში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

19.ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას, ბრატისლავა რაჭის ქუჩის ჩიხების და პატარა ბაზრის შიდა გზის და გამსახურდიას ქუჩის ჩიხების რეაბილიტაციის სამუშაოები

20..ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვანჭკარაში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

21.სოფელ აგარისა და უყეშის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები

აღნიშნული პროექტებიდან 12 უკვე დასრულებულია. 4 პროექტზე მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურები. დანარჩენ 5 პროექტზე სამუშაოები მიმდინარეობს, მათ შორის 2 პირგასამტეხლოს თანხლებით.

აღნიშნული პროექტებიდან 5 პროექტს ზედამხედველობას უწევს ჩვენი სამსახური, ხოლო დანარჩენ 16-ს არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის N1212 განკარგულებით მუნიციპალიტეტის გამოეყო დამატებით თანხა 4 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად, რომელიც ასევე რეგ. ფონდის და მუნიციპალიტეტის თანადაფინასების მეშვეობით განხორციელდება. კერძოდ:

1. სოფელ ზნაკვის სასოლფო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 700 000.00 ლარი.
2. სოფელ სადმელში ადმინისტრაციული შენობის პირველი ეტაპის სამუშაოები.ღირებულებით 194000.00 ლარი

3. სოფელ სადმელში გურგენიიძების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები , ღირებულებით 201776.00 ლარი.
4. სოფელ ნიკორწმინდაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია , ღირებულებით 183590.00 ლარი.

დოკუმენტაცია გამზადებულია ტენდერისთვის. ამ პროექტებიდან ნიკორწმინდის კულტურის სახლის რეაბილიტაციას და სადმელის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას ზედამხედველობას გაუწევს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო დანარჩენ 2 პროექტს არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახური.

მთის ფონდი

მიმდინარე წელს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან დაფინასდა 2 ინფასტრუქტურული პროექტი:

1. სოფელ შხივანის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 1055000.00 ლარი
2. სოფელ კაჩაეთის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 315000.00 ლარი.
   აღნიშნულ პროექტებს ზედამხედველობას უწევს არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახური.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის N 383 განკარგულების შესაბამისად 2025 წელს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 1950000 ლარის ოდენობით, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა 8 ინფრასტრუქტურული პროექტი. ამ ეტაპზე 7 პროექტი დასრულებულია, მიმდინარეობს მხოლოდ მდ. ხოტეურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები. (იხილეთ დანართი N1).

1. ამბროლაური-ხიმშის გზის ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.
2. სოფელ ხოტევში მდინარე ხოტეურაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები
3. სოფელ კლდისუბანში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები
4. სოფელ სადმელში, ენუქიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდინარე რიცეულაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.
6. სოფ. ჟოშხაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.
7. სოფელ სადმელში მესხაძეების სახლთან რკინა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები
8. სოფელ ქვედა ჟოშხაში წულუკიძეების, ჭიღვარიების, ჩარკვიანების უბანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა-734000.00 ლარი. თანადაფინანსება დაახლობით 31745.00 ლარის ფარგლებში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2025 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის N53 განკარგულებით გამოეყო 734000.00 ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გამოიკვეთა თანადაფინანსების ოდენობაც, რომელიც ჯამურად 31745 .00 ლარს შეადგენს, სულ 67 პროექტის ფარგლებში განხორციელდება 78 პრიორიტეტი, ვინაიდან რამოდენიმე სოფელში ერთი პროექტით სრულდება ორი პრიორიტეტი. ამ ეტაპზე გაფორმებულია 31 ხელშეკრულება. მიმდინარეობს დანარჩენი 36 ხელშეკრულების გაფორმების პროცესი. 30 პროექტზე ზედამხედველობას განახორციელებს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო 37 პროექტზე -არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახური.

ამ დროისატვის დასრულებულია

ადგილობრივი ბიუჯეტი

2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება 12 პროექტი. რომელთაგან 5 უკვე დასრულებულია. მიმდინარეა 3 პროექტი, გმოცხადებულია ტენდერი 3 პროექტზე, ხოლო ერთი პროექტი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სოციალური პროგრამით გიორგი ბოჭორიშვილსათვის, შეჩერებულია, ვინაიდან მიღებულია უარყოფითი დასკვნა მიწის სამშენებლოდ გამოყენების შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტებისთვის საპროექტო-სახარჯთათრიცხვო დოკუმენტაცია მზადდება ჩვენს სამსახურში, ასევე არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურში და გადაეცემა შესყიდვების სამსახურს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების მიზნით აღნიშნა მერიის სივრიცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ეკატერინე ლაშხმა.

სკოლები

მიმდინარე წელს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება სოფელ წესის საჯარო სკოლაში, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებში წარიმართება. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 19896.00 ლარს.

მუნიციპალიტეტში ასევე მიმდინარეობს **მუნიციპალური განვითარების ფონდის** მიერ დაფინანსებული პროექტები:

1. N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-5093162.51. დასრულებულია ძირითადი ფლიგელი.
2. ლიხეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-2 208753.58 ლარი, დასრულდება მიმდინარე წელს.
3. 200 ბავშვზე გათვლილი ამბროლაურის საბავშვო ბაღის მშენებლობა-4200 000.00 ლარი; დასრულებულია
4. სადმელის საბავშვო ბაღის მშენებლობა- 1278332.94 ლარი.დასრულებულია
5. ჭრებალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ჯამურად 6000000.00 ლარი. დასრულდება მიმდინარე წელს .

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წელს დაიწყო მასშტაბური პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას ქალაქ ამბროლაურში , გამწმენდი ნაგებობის მოწყობას მდ. კრიხულას სათავეში და ქსელის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 13998900.00 ლარი.

აზრი გამოთქვეს : ირინა კერესელიძემ აზრი გამოთქვა უკუკავშირის მართვის პროცესის დანერგვასთან დაკავშირებით , კმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა ,რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს შორის იყო თავად და მადლობა გადაიხადა გაწეული დახმარებისთვის და ასევე აღნიშნა , იმ მუნიციპალიტეტში სადაც ჩაიტარა შესაბამისი სამედიცინო მაღალტექნოლოგიური კვლევა , არ

აქვთ მსგავსი პროგრამა და ამით ისიც დადგინდა , რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთი-ერთი მოწინავეა მუნიციპალიტეტებში მსგავსი სამედიცინო პროგრამით .

მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ მოწოდებული შენიშვნები და ხარვეზები შემდგომი გამოსწორების მიზნით ჩანიშნულია რეაგირებისთვის.

დაადგინდეს: მორიგი სხდომა გაიმართება საჭიროებისამებრ საბჭოს თავჯდომარის ინიციატივის შედეგად და დამატებით თარიღი წევრებს მდივნის მიერ ეცნობება სატელეფონო შეტყობინებით.

საბჭოს თავჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავჯდომარე	ირინა კერესელიძე	/
სხდომის მდივანი	ეკატერინე კაციტაძე	/